საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2017 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, შემოსული წერილობითი მოთხოვნებისა და მათზე რეაგირების შესახებ ანგარიშს:

- 2017 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინიტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით სულ შემოვიდა 46 (ორმოცდაექვსი) წერილობითი მოთხოვნა. მათგან პასუხი გაეცა 42 (ორმოცდაორი) განმცხადებელს, აქედან 5 (ხუთი) წერილზე პასუხი გაეცა უშუალოდ სახაზინო სამსახურის მიერ, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო შესრულების პროცესშია 4 (ოთხი) წერილობითი მოთხოვნა.
- სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან მათზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს სახაზინო სამსახურში წარმოადგენს სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სახაზინო სამსახურში არ დაფიქსირებულა.